



ს. ჯ. ბ. ნ. მ. გ. ი. მ.


საღმრთაობის და სამეცნიერო ნახატებიანი ზეგანი, ზამოსის ქოვალ კვირა ღმს.

№ 3.

იანვარი 8, 1895 წ.

№ 3.

ზინარსი: სასოფლო სკოლა და იმისი მნიშვნელობა ი. როსტომაშვილისა. — იველის ორი წლის ნაღვლი გ. შერე-
 დღისა. — საურადღებო ამბები. — სვეტიცხოველი საქუბები. — სენინარის საქმე ქუთაისში. — კ. დ. ყიფიანის საიუბილეო წარმო-
 დგენის გამო ბალტაზარისა. — პარიჟი საზღვარგარეთელისა. — ზნ. მესარიონ მიქაძეს კ. თეაროქილაძისა. — იველის ფოსტა. —
 ქუთაისის ბანკის განცხადებანი.



ანგელოზების სულის წაღება.

სასოფლო შკოლა და იმისი მნიშვნელობა

ას შემდეგ, რაც ბატონ-ყმობა გადაეარდა, მოსპობა უფლება ბატონისა გლეხის პიროვნებაზე და მის ქონებაზე, მაგრამ იმავე დროს, მოსპობა ბატონის ზრუნვა—პატრონობაც გლეხზე და მის ოჯახზე. წინათ ბატონი იცუვდა თავის გლეხს სხვის თავ-დასხმისგან, მწუხარებისგან, მძლავრობისგან და ხშირათ ზნეობით და ნიეთიერთაც შევიდოდა მას მოუსალოდამში, ავად მყოფობაში, სახლ-კარის და ქონების დაწვაში და სხვა უბედურებაში. ახლა, ვათავისუფლებას შემდეგ, ყველა გლეხს თვითონ უნდა ეცხოვრა, თვითონ, საკუთარი ჭკუით და ცოდნით უნდა ეზრუნა ოჯახისათვის. როგორც პიროვნული უფლების და საკუთარი ქონების პატრონა, გლეხს ახლა საკუთარი შრომით უნდა მოეპოვებინა ნიეთიერი კეთილდღეობა და დამოუკიდებელი ცხოვრება. მიძიდე დრო იყო ეს დრო გლეხისთვის, რადგან ეს სრულიათ მოუშხადებელი აღმოჩნდა ახალი ცხოვრებისათვის; მაგრამ, აღფრთოვანებული თავისუფლებით და საკუთრებათ მიზომილი მამულითა, ის მხნეთ შეუღდა მუშაობას და დღესაც მუშაობს... მაგრამ ამათი მისმა მუშაობაში საუკუთროებით განმტკიცებულმა მარჯვენამაც კი ვერა გააწყურა-რა და ნიეთიერი კეთილ-დღეობა და დამოუკიდებელი ცხოვრება, მაინც და მაინც, ვერ მოიპოვა... აღმოჩნდა, რომ ლიტონი ძალ-ღონე მკლავისა და მამა-პაპური მცირე ცოდნა-გამოკდილება არ კმარა კეთილ-დღეობის მოსაპოვებლათ. აღმოჩნდა, რომ საქიროა გონებითი განვითარება და დროს შესაფერი ცოდნაც! ამ სულიერი თვისებების საქიროება განსაკუთრებით განცხადდა მას შემდეგ, რაც გლეხს მიენიჭა ზოგიერთი საზოგადო და მოქალაქობრივი უფლებანი! აღმოჩნდა, რომ საქიროა ზნეობითაც აღზდა ხალხისა, საქიროა შენაცვლება ძველი ბატონ-ყმური პრინციპებისა უფრო განვითარებული და ჰუმანური რწმუნებით... ერთი უკეთესი და უმთავრესი საშუალება ამისთვის იყო და არის სახალხო შკოლა და, აი, დაიწყეს მისი დაფუძნება აქა-იქა ჩვენში და რუსეთში. მაშინ რუსეთში მეტათ მიძიდე ნაბიჯით მიდიოდა ეს ახალი საქმე, მაგრამ, სულ სხვა არის ახლა: სკოლის დღესღამე და წარმატებამ წერა-კითხვაში, ანგარიშიში და საეკლესიო გლობაში ძირიანათ შეტყვევალა შეხედულობა შკოლაზე და დღეს იქ ხალხს სრულიათ შეგნებული აქვს შკოლის წერა-კითხვის და საზოგადოთ სწავლის საქიროება-მნიშვნელობა. სამწუხაროთ, სულ წინააღმდეგი შედეგი მოჰყვა ამავე დროს და ამავე საქმეს ჩვენში. მიზეზი ამისა იყო ის, რომ, როდესაც იქ, რუსეთში, უმთავრესი ძალათ

ამ შკოლების დაფუძნებისა იყო ერობა, ჩვენში ბოქოულები იყვენ და დღესაც ესენი არიან. იმ დროს, როდესაც ერობა სრული თავ-დადებით და გულით ეკიდებოდა ამ დიდ-მნიშვნელობიან საქმეს, ჩვენი მოხელენი მზალოთ უმადლესი მთავრობის ყურადღების დასამსახურებლათ ცდილობდენ ამ გვირივე შკოლების დაფუძნებისა და მათი შესანახის ხარჯის განახრებე ხალხს ძალით აწერინებდენ ხელს. იმ დროს, როდესაც რუსეთში ერობა ყოველ საშუალებას ხმაობდა, რომ შკოლა პედაგოგის სრულს მოთხოვნილებებზე აეგო, ჩვენში კედაგოგია სრულიათ უკუაგდეს შკოლიდან და მისი პედაგოგ-დღეობა მზალოთ დიქტატორებისა და ინსპექტორების პირად განძრახებებს და შეხედულებებს დაუმორჩილეს და დაუმონაგეეს... ასეთმა არა სანუგეშო მდგომარეობამ სახალხო შკოლისამ ჩვენში მოიტანა ის ნაყოფი, რომ ჩვენმა ხალხმა სრულიათ გული აიკრუა ამ შევიერი დაწესებულებებზე და როგორც არა ერთი და ორი მაგალითი ყოფილა, რამდენიმე წლის ნაამაგარი შკოლაც კი დაუტეხიათ. ასეა დღეს საქმე და თუ არ ეილონეთ რამე და საქმეს არ ეუშველეთ რამე, ჯერ კიდევ ბევრი წყლი ჩაივლის, სანამ ჩვენი ხალხი მიეწყრება შკოლის მნიშვნელობის და საქიროების შეგნებას. უამისოთ კი მოგვსენებათ ვერას გზით ვერ დაეაწყებთ ხალხს ვერაოსი ცივილიზაციას... გადადება საქმისა ხეალოსთვის ყოველად შემუდლებულია და უნდა ყველა საშუალება ეხმაროთ, რომ საქმეს ახლავე ეუშველოთ. ერთათ ერთი საშუალება დღეს დაცემული შკოლის ფეხზე დაყენებისა და მისი ნამდვილი მნიშვნელობის განვრცელებისათვის ხალხში, ჩვენის აზრით, არის დახლოებება შკოლისათ თვით ხალხთან; ხოლო, რადგან ხალხი მზალოთ მაშინ დაუახლოვდება შკოლას და იზრუნებს მასზე ისე, როგორც თავის მაწოვარზე, როდესაც, თვით კანონი მოუწოდებს ხალხის რჩეულებს შკოლის საქმის წარმოებაში და განკარგებაში, ამიტომ საქიროა ეცუვლოთ, რომ მიენიჭოს ხალხს უფლება ყველა შკოლისათნ სოფლისგან ამორჩეული რამდენიმე პირისგან შემდგარი სამზრუნველო იყოლიოს, რომლის სრულს განკარგულებაში უნდა გადავიდეს, როგორც ყოველ წლიური შემოსავლის და ხარჯთა აღრიცხვის საქმე, ისე უფლებმა, იზრუნოს შენობაზე, მოწყობაზე, სწავლაზე, ხიერიანი მასწავლებლის ყოლაზე და სხ... ერთი სიტყვით, საქმე ისე უნდა მოეწყოს, როგორც ეს მოწყობილი აქეთ ჩვენ მეზობლებს სომხებს. მთავრობის მოვალეობა აქ ამ მზალოთ ის იქნება, რომ წელიწადში ერთხელ-ოორჯველ დახმედოს შკოლას და განმწეროს, რამდენათ კანონიერათ და ერთგულათ ასრულებენ სამზრუნველოები და მასწავლებლები თვითნათ მოვალეობას...

„კვალის“ ორი წლის ნალექი

ჰედვარი *

მფრო გამწვანებული ბრძოლა „კვალს“ შეეძინება ჩვენ მეთაურ ინტელიგენციასთან ქალაქის არჩევნების დროს. ამ კამათობაში „კვალს“ ხელმძღვანელი დაჩინ მარტო-მარტო, იმ ხანებში ამ ორ, სამ კაცს თითქმის თანამგარანობი აღარაინი ჰყოლია. მით უფრო საშინელს გარემოებაში ჩაეარდა „კვალს“, რომ მას შემთხვევა ბრძოლა ერთს ათასთან და აქედან უნდა წარმოიღვინოთ, რა უსამართლო იქნებოდა მისი თანამშრომლების მდგომარეობა. „კვალს“ დასწამეს ორგანიზაცია და ერთს მის თანამშრომელთაგანს გამცემობაც. აი, საქმე რას-ში მდგომარეობდა: გამოვიდა ქალაქის ახალი თვით-გამგეობის წესდება. ამ წესდებაში კანონმდებლობაში უპირატესობა მიანიჭდა შეძლებულ მოქალაქეებს. მაშასადამე არჩევნების დროს ამორჩევის უფლება უმეტეს ნაწილათ სომეხს უნდა რგებოდა, როგორც უფრო შეძლებულს მოქალაქეებს. ორი ათასს ერთს ქალაქის ამომრჩეველებში ათას ხუთასზე მეტი სომეხთაგანი აღმოჩნდა, ხოლო ქართველების ამომრჩეველთა რიცხვი ოთხასს არ აღემატებოდა. რა იყო მიზეზი ასე უსწორ-მასწორათ უფლებების განაწილებისა? უეჭველია, უმაღლესად დამტკიცებული ახალი საქალაქო გამგეობის წესდება. მაშასადამე აქ რა შუაში უნდა ყოფილიყვნენ ისინი, რომელთაც უფლება მიენიჭათ და უნდოდათ ამ თავისი საკუთარი უფლებით ესარგებლათ. ჩვენი ქართველი ხმოსნები საქმეს ძირში არ ჩაუყვირდნენ და დაიწყეს ისე მოქცევა, როგორც შეშვენილ ნორჩ ყრმას, რომელიც, დევნება თუ არა მიწაზე თავისი უხერხულობის გამო, მორთავს ღრიალს და დაუწყებს მიწას ცემას, თითქოს მიწა ყოფილიყო მისი და ცემის მიზეზი და არა გაუფრთხილებლობა და უხერხობა. „ცხენს გვრადერი დააკლეს, უნადირი დამტერიეს.“ სწორეთ ასეთი საქმე მოუვიდათ ქართველ მეთაურ ინტელიგენციას. შეეჩნა მითქმა-მოთქმა, დაიწყეს ჩივილი, სომეხები გეგრაგინა და იმდენზე მივიდა მათი უსაფუძვლო სჯა, თითქოს საქართველოს ვინღაც საოცარი მტერი შემოსეოდეს. ქართველი ხმოსნები იწვეოდნენ დიდსა და პატარას ბრძოლისათვის. ასეთს უმართებულო მოქმედებას მით უფრო ცუდი ბოლო მოადედა, რომ მტრობა საშვილიშვილო და აიოუფხერბული უნდა დაბადებულყო ორს მებრძოლს ერს შუა, რომელნიც ისტორიული კულტურით, ნათესა-

ობით ძველთაგანვე შეკავშირებული ყოფილან და ერთი მგორის ისტორიაზე მჭიდრო გავლენა ჰქონიათ. ვანა დრო იყო ერთ ბელში მყოფ ორ მებრძოლს ხალხს შუა შეურთიგებელი განხეთქილება დაარსებულყო მარტო იმის გულისთვის, რომ მომავალ ქალაქის საბჭოში ქართველი უფრო მეტი იქნებოდა ხმოსნათ, თუ სომეხი? ამ შემთხვევაში ჩვენ რომ პოლიტიკურათ უფრო მომზადებული თაობა გვეყოლოდა, სულ სხვანაირათ მოიქცეოდა. რაკი კანონის ძალით ერთ მებრძოლს მეტი უფლება ჰხვდა, ვიდრე მეორეს ქალაქის საერთო გამგეობაში, რაკი და წესი მოითხოვდა ერთი და მეორეც ძმურათ შეთანხმებულყოფენ და ამომრჩეველების რიცხვის რაოდენობისამებრ ვაეყოთ უფლება ქალაქის მართვაში. ათას-ხუთასი ამომრჩეველი რომ სომეხი იყო, ოთხასზე ზევით არ აცილებულა ქართველი ამომრჩეველი. მაშ რა უჭირდა, რომ ორ მესამედ სომეხებში ერთი მესამედი ქართველები ყოფილიყვნენ. რა ცუდი იქნებოდა, რომ ორმოც-და-ათ სომეხ ხმოსნთან ოც-და-ხუთი ქართველი ხმოსანი დამსდარიყო მომავალ ქალაქის საბჭოში, ან თუნდა ორმოც-და-ათ სომეხთან ოც ქართველი ყოფილიყო? ასეთ განაწილებაზე დიდი სიამოვნებით დათანხმდებოდნენ სომეხები; მაგრამ ჩვენმა მეთაურებმა დაიჩინეს, არა ჩვენ თანტოლთ უნდა ვაეყოთ უფლებათ და იმას კი აღარ მიხედეს, რომ კანონმდებლობა, რომელიც შეძლებულზე ამაყობდა ამორჩევით უფლებას, კანონის დარღვევის ნებას ანავის აძლევდა. ხოლო ჩვენი მეთაურების გაჯიუტება იმას ნიშნავდა, რომ თქვენ უფლება მოიკლეთ და ჩვენ გადმოგვეციოთ. აი, ასეთმა მოუფიქრებელმა აკეთებებმა გამწვანვა ბრძოლა, რომელსაც შედეგათ მოჰყვა მებრძოლ ერთან დაუცხრომელი შურის და მტრობის ჩამოგდება. „კვალმა“ მხარი არ მისცა ასეთს ურიგო მოქმედებაში ჩვენს მეთაურებს. იმან დაჰკმო ზოგიერთების საქციელი, რომელთაც პირადი უკმაყოფილება გვარტომობაში გადაქონდით და ასეთი მოქმედება „კვალმა“ საშიშოთ მიიჩნია მომავლისათვის; რადგან ამით, აღრე თუ გვიან, გამართლდებოდა სახელოვანი პოეტის წინასწარმეტყველება:

„ვით მაშლი სხვის მამალს დამტყდეს და წაეკიდოს, მს სტეპოს და თეთი იცემოს, დაქობნობს და ეკიდოს; რა ორცე დადღუნდი მაღლა ნასოს, ზირი ჭკიდოს, კრეჭ ქანთლი და კანთი დანჩათუქნათ, აგეთ, დიდოს!“

მართლაც რომ ასეთი ამბავი შეეძინება ტფილისის ქალაქის საბჭოს ამ ბოლოს დროს, რომელსაც ერთმა ხმოსანმა აღძრა ქალაქის შკოლებზე კითხვა. ანლა ყველასთვის ცხადია, რომ ქართველ ხმოსნებს

*) მს. „კვალი“ № 1

უარი რომ არ ეთქვათ კენჭის ყრავზე და ზოგიერთ ურიგო ხმოსნების მაგიერათ ქართველები დაბანდნულნიყვენ სატკაში, უეჭველათ ქალაქის შკოლების საქმე საფრთხეში არ ჩაეარდებოდა. აი, ამისთანა საქმისა და სხვა კიდევ უფრო მიწვევი გარემოების შიში ჰქონდა „კვალს“ და მის თანამშრომელს, როცა მან თავი გამოიღვა ამ არჩევანების შესახებ და არ დაიჭირა ქართველი ხმოსნების მხარე. იმ დროს „კვალს“ მიეცა შემთხვევა საესებით გამოეთქვა ამგვარი გარემოების შესახებ თავისი შეხედულება ქართველ-სომეხთა ურთიერთობაზე. აი, რა სიტყვებით გამოარქვია „კვალმა“ ეს აზრი: ქართველი ერთი და სომხისა ისტორიულს გარემოებას ერთს ფარგალში მოუწვევდევია. მათი ეროვნული წარმატება ბევრ შემთხვევაში მათ ურთიერთობაზეა დამოკიდებული, მათი საერთო მოსაგერბელი მანე გარემოება ის არის, რაც ეწინააღმდეგება მათს ბუნების ალორძინებას. მაშასადამე იხირონ სხელი-ხელი ჩაკიდებული უნდა ეწინააღმდეგვან ყოველს ასეთს გარემოებას, რაც კი დაუშლის მათს თვითარსებობას, მათს ეროვნულ წარმატებას. ამ შემთხვევაში ერთობა ძალა და ვანცალკეება სისუსტე. აქედან ცხადთ უნდა ქართველი და სომეხი გეარტომობის წარმატებაში ქართველსა, რომ მთხენი განუყოფელი ძებნა უნდა იყონ და არამც თუ მართო ესენი, არამედ ამათან სხვა ტომის გრიც, რომელნიც კავკასიაში დაბინაებულან და ილუწიან თავის გეარტომობის განვითარებისათვის, ცდილობენ მის ალორძინებას, წარმატებას, განათლებას და თვითარსებობის დაცვას, ჩვენ უველა ისინი ძებნათ უნდა მივიჩნიოთ, მათ დაუახლოვდეთ; უყუთ გაეცნოთ ჩვენი თავი და შეერთებულნი ძალით დევაღეთ წარმატების გზას. აი, ამ პრინციპის ძალით ჩვენ ეწინააღმდეგეთ მაშინ ისეთს პიროვნულს მოქმედებას, რომელსაც შეეძლოა გეარტომობის ურთიერთობაში კეთილი დამოკიდებულება დაერღვია, ამ პროგრამის გამოცხადების დროს ერთი ფრიად საგულისხმო საკითხი იყო ჩვენ მოპირდაპირეებისაგან აღძრული, რომელსაც იმ დროს პასუხი ვერ ვაძვეციტ სხვა-და-სხვა გარემოების გამო. განა შესაძლებელია ისეთ ხალხთან დაახლოვება, რომელიც თავისი ვაკატორის მეოხებით სახლში ჩაუდგომია, ჩვენს ადგილ-მამულს იჭერს და ჩვენს ხალხს აღარინებსო? როგორ შეიძლება იმისთანა ხალხთან საერთო რამე ეიჭონოთო, რომელიც ეკონომიურათ გეჩავრავს და ჩვენს სარჩობადადებულზე ხელი მაგრათ ჩაუვლიაო? მართლაც რომ ეკონომიური ბრძოლა ქართველებსა და სომეხებს შუა დიდს უბედურებას შეადგენს; მაგრამ აქ მართლაც ბარ მამაციის“ ძახლით და უფრისძიებით

ვერას გაეარეგებთ. ამითი ისევე ჩვენ თავს ვაგნებთ, რადგან დიდს მტერს პატარასაც ზედ შეუტყუებოვრებთ.

„არ გათვორღება ყორანი, რა გინდ რომ ხეხო ქეიშითა; მტერნი არ შეგვიბრალებენ ვაგლახითა დეიშითა“.

ეკონომიური ბრძოლა განა თვით ჩვენს შინაურობაში კი არ არის? თვით ჩვენი შეძლებული, ფულით გამოდღრებული, იმერლობა თავისსავე საწყალს გაღარბებულს მომე-იმერელს სულსა წედის და, როგორც მოგვხსენებთ, გინდ მგელს შეუტყამივარ, გინდ მელისფერს ძაღლს, სულ ერთია. საქმე იმაშია, რომ ეკონომიურს ბრძოლას არაფერი საერთო არა აქვს რა გეარტომობას ურთიერთობასთან. იმ დროს, როდესაც მღღარი იმერული ღარიბი იმერლის მიწა-წყალს იფლობს, წარმოვიდგინოთ, ოსმალები შემოაკეციენ. რას ენახათ? მაშინვე ეს მღღარი და ღარიბი, ერთმანეთის დაუძინებელი მტერი, ხელი-ხელს მიცემენ ერთმანეთს და მძურათ შეკავშირდებიან ოსმალების მოსაგერბელათ. განა ეკონომიური ბრძოლა თვით ორ ლეიბ-ძმა შუა არ არსებობს? ხშირათ შეძლებული ძმა შეუძლებელის ძმის ადგილ-მამულს იგირავენს და ბოლოს საჯარო ეკატობით ირჩენს თავის საკუთრებათ. უეჭველია, აქ გაფუცქნილი ძმა მტრათ ჰუას ვადაკიდებული ფულიანს ძმას, რომელმაც მისი ადგილ-მამული დაინაკუთვას; მაგრამ, აბა, მოვარდეს გარეშე ავახუცა და დეუცეს შეძლებულს ძმას თავზე გასაუცქეთ. მის ყვირილზე ყველაზე უწინ მისგანვე ტყავ-გართმეული ძმა მარბის ევრაგი ძმისსაშველათ. ვინ იტყვის, რომ ეკონომიური ნიადაგზე არ უნდა ეიბრძოლოთ სომეხებთან? მაგრამ ქართლ-კახეთმა თვითონ თავისი ძალღლით უნდა გაიუფრებინოს საკუთარი მდგომარეობა და მხოლოთ ამ საშუალებით უნდა იქსნას თავი სომხის კაპიტალის ბრძკალეებისაგან. მაგრამ ასეთს ბრძოლას გეარტომობის სიძულელი კი არ უნდა მოყვეს, ამიტომ რომ ეს თვით ჩვენი ერის დამღუპველი შეიქნება. ახლა ჩამოეთვლით ის ღონისძიებანი, რომლითაც ჩვენ უნდა ეებრძოლოთ სომხის კაპიტალს? მიუცილებლათ, უნდა ეიხზაროთ იგივე იარაღი, რა იარაღითაც სომეხი გამოდღრდენ და ჩვენ მათ ეალში ჩაგვლეს. ჩვენი უნდა ვაგხსნათ ჩვენი საკუთარი სამერყველო და შემუხრეო ბანკები, უნდა დეფარსოთ სამეურნეო და სამერყველო ასსოციაციები, უნდა ეისწავლოთ ეაქრობა და აღებ-მიციმობა. ვაგხსნათ ჩვენივე საკუთარი მოთხოვნის ღებქმები, ახლა, მაღლობა ღებქმის, ჩვენი სამეურნეო და სამერყველო სალოთერთო ბანკის წესდება დამტკიცდა, რალას ეუცდიოთ

მეუღლეთ მის გახსნას, რომ ყოველმა ქართველმა ახლოვე იქ დაბინავს თავისი ფული, ამას ვარდა უნდა დაარსდეს ასსოკიაცურები, ანუ ამხანაგობანი ლეონისა, ჭირანბულისა, ხე-ტყისა, მადნეულობისა, ბრეშუმზამბა-მატყისა, ხილეულობისა და ყოველი ნაწარმოებისა. ყველა სამამასხლისო სოფლებმა უნდა შეადგინონ თავის საკუთარი ამხანაგობანი და გაიჩინოს საერო თანხა, კაპიტალი, რომ ამ კაპიტალით დაჭირებდნენ დროს ხელი მოინაცვლოს. ახლა, მაღლობა ღმერთს, ყოველს კერა კაცს და ყოველს საზოგადოებას და თემობას სახელმწიფო ბანკში გახსნილი აქვს ნდობა სულ იაფი სარგებლით. ყველას შეუძლია აქ ხელი გაიმართოს და მევენამე თავიდან მოიცილოს. აი, ამგვარი შვერთებული ძალით მაღელ წამოდგება ფეხზე ჩვენი ქართლ-კახეთი, გამოვა სომხის მოვენის და ჩარჩის დაეინდობიდან, იხსნის თავის ადგოლ-მამულს მის გარეულობისაგან და მაშინ ხომ საყვედურც თავისთავით მოისპობა სომხებზე. მაშინ თვითონ სომხებიც უფრო პატივისცემით, მორიდებით და ძმური სიყვარულით დაუწყებენ ქართველს ხალხს ცქერას და რაკი ამ ორს მონათესავე გვარს სასაყვედურო არა ექნებათ რა, ეკვი არ არის, უფრო დაუახლოვდებიან ერთმან-

ეთს და ძმური კავშირით შეუდგებიან თავის ერთგულების კეთილდღეობის ძებნას. აქედან ცხადათ დაუბნინახავს ჩვენი მკითხველი, რომ ჩვენი ერის ეკონომიურათ განათვისუფლება თვით ჩვენი ცნობიერს მეცადინეობაზე და მოკიდებული, ჩვენივე შეგვიძლია საერთო ძალით ვიხსნათ ჩვენი თავი სხვის ელისა და ვახსნავან. მაშასადამე დღეს თუ სხვის კაპიტალისაგან დახარული ვართ, ეს თვით ჩვენი უმოქმედობის, მოუხერხებლობის და სიძაბუნის ბრალია. ეკონომიურათ ჩვენი დაღატაკების მიზეზი ჩვენივე ვართ და სხვას ამის გულისთვის ან რათ უნდა ვამტყუნებდეთ, ან რათ უნდა ვემტერებოდეთ? გავანძრაოთ ხელი, შევერთდეთ ამხანაგობათ, ფული ხომ ადვილი საზოგენელია სახელმწიფო ბანკიდან ყოველ გვარ წარმოებისთვის. რაღა გვებარკობებს? მეუღლეთ ეკონომიურათ განათვისუფლების საქმეს და მერე კი გინდ სომხებთან, გინდ მაჰმადიანთან, გინდ მთის ხალხებთან გზა გაკვეთილი იქნება. მათთან კარგი განწყობილება და მეგობრული ურთიერთობა საარგებლობის მტეს, ზარალი არას მოგვცემს.

გ. წერეთელი.

(შეაფეგო აქნება)

საყურადღებო ამბები

შოგენფერს მოველოდით, მაგრამ ოციკიალური ვაჭეთის „კავკასისაგან“ კი არ მოველოდით ისეთს უცოდინარობას ჩვენი კავკასიის კულტურული ხალხებისას, როგორც მან გამოიჩინა თავის „ნაწიში, საცა იგი ძალიან სასტიკი ენაკრობა ტფილისის ქალაქისთვის, პ. იზმაილოვის, სურვილსა, რომელიც არის სურვილი ყველა კავკასიის ხალხებისა განურჩევლათ გეოგრაფიკობისა. „კავკასის“ აზრით ქართველ-სომხები და მაჰმადიანნი თითქოს ისეთი ყრუ და ევლუთა ხალხი ყოფილიყუნ, რომ მათ არავითარი სამართლიანობის გრძობა არ ქონადეთ, ვითომც ამ ხალხებს ძველათ არც ამოჩჩეული მოსამართლეები ყოვლადესთ და არც მშვიდობიანობასა და სამართლიანობის წესი და რიგი ქონადესთ. თუ ასეა, მაშინ წერილობითი საბუთები და კანონმდებლობა, რომელიც ჩვენ ძველთგან დაგვიჩენია, სულ მოჭრებულსი ყოფილა. ნეტა ეციადეთ, რატომ არ გაახსენდა „კავკასის“ ვაჭეთს საქართველოს საჯულის მღებელნი: მთავრები, მეფე-

ები და ეკლესიის თავნი? რა იქნენ აღბუთსი კანონები, გიორგი ბრწყინვალის წესდებულება, მთის ხალხების გასასამართლებლათ დადგენილი, ეახტანგ მეფის საჯულისდება, კათალიკოსის კანონება, ან სომხის კანონები. ვინ არ იცის, რომ უწინდელ მეფეების დროს ჩვენ გეყოლია ამორჩეული მოსამართლეები და სამართალი უწყვეტათ სწრაჟათ და მიუღდამგლოთ? თუ იქნება ჩვენი ორი ზონს წლის კულტურის დარჩაკში ვავილოთ კავკასიის ხალხები ამ ბოლო დროს ისე დაყრუედენ, რომ სამართალი, თუ არ უტოო ენაზე, ჩვენს სამშობლო ენაზე აღარ გვემის? რაც მართალია, მართალია, სწორათ ჩვენი ერი დღეს სამართლის მოსმენისათვის ძალიან გამოყრუედა; მაგრამ ამის მიზეზი მხოლოთ მარტო ის არის, რომ ჩვენს ხალხს მის გაუგებარს ენაზე აძლევენ საუკეთესო სამართალს და მართლაც, რომ დღეს სამართალი მაღალ გონება-განვითარებულ და გონება დამჯდარ მოსამართლეებისაგან კი არ გვეძლევა პირდაპირ, არამედ იგი გვეძლევა უეცი მთარგმნელების პირით. დღეს სამართალი ხალხისთვის კი არ არის, არამედ მხოლოთ ჩვენი ხალხის გაუგებარი ენის გულისთვის ყოფილა დადგენილი და მხო-

ლოთი იმ მაღალ მოსამართლეების კეთილცხოვრებინათვის, რომელნიც, თუ არ ჩვენთვის გაუგებრის ენაზე, ჩვენს სამშობლო ენაზე ვერას ვაგვიგებინებენ. ტყუილთ ნუ აბრალებს „კაკანი“ ამირჩულ და ნაფიც მოსამართლეების მოუტყემლობას იმ გარემოებას, ეითამც ქართველს სომეხი ძულდეს და სომეხი მაჰმადიანს, რომ მაჰმადიანს სომეხი არ ძულს, ამის მაგალითი, ვოგანებ, თვით მაჰმადიანებმა დაამტკიცეს, როცა ასე სიყვარულით და თანადიხობით ეგებებიან სომხის პატრიარქს, ხრიმიანს, და იხოვერ მის უწმიდესობისაგან ლოცვა-კურთხევას. რაიცა შეგებმა ქართველებს და სომეხებს, იმათ ერთმანეთის ენა ძალიან კარგათ ესმით და ამ ორივე ძეგლათვან განათლებულს ვინ უწინაც ჰქონია თავის შესაფერი და კარგათ განვითარებული სამართალი, რომელსაც ამტკიცებს ხალხის საშროთ დაბადებული ანდაზა: „სამართლით მოკრილი ხელი არ მეტკინებაო“. სამწუხაროთ, ამასვე ვერ ვიტყვით ახლანდელ მოსამართლეებზე, რომელთაც არც ჩვენი ცხოვრება იციან, არც ჩვენი შეგუდლება სამართლიანობაზე, არც ჩვენი წარსული კულტურის გაგებათ რა. იმათი ჩვენ არ გვესმის და ჩვენი იმათ, ამიტომაც მათი სამართლიანობისაგან ჩვენ ხშირათ ხელფხვც გეტკივა და ყელ-კისერიც.



„შეიმართვე პტივეკუმულ ახალ-სენჯის, ზუგდიდის, ლესუმის და აფხაზეთის სამღვდელოების დეპუტატებს, რომ თუ მართალ, როგორც მქაქე ბრძანებს: სსსუღმმ-ღვანელო წიგნების ყადაგ-გუდიფასათვის ისღან 100 მანეთს, ეს 100 მანეთი სამღვდელოებამ ახალ-სენჯის წიგნის მღაზას დაუნინოს და წიგნის მღაზას შირობით შეკერვას პტივეკუმულ სამღვდელოებს, ნცგვლით იმისა, რომ მათი შეილება დღეს ყადაღობენ მკაფლიათ: „დეაქეს“ 45 გ., — მღაზას დაუთმოს ედით 35 გ. Р. С. С. С. С. С. ყადაღობს 45, მღაზას მიჰედის 35 გ. რეკულეს ეიდის 5, მღაზას დაუთმოს 4 გ. და ყოველ წესუთიდან დაბრკულე წიგნში უმტკებენ ნაწერზე 10 გ. სოლო მღაზას ნაწერზე დაუკულეს 5% ყველასსუღეაო და სამრეკლო სსსწაგლებუქისათვის.

გ. თავაროქილაქი



გუდაუთა (აფხაზეთი): გავილილ 13 დეკემბერს აქ მობრძანდენ სუხუმის ოლქის უფროსი ბ. ბრაკერი და ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორი ბ. დიმიტრიევი, თუმცაღა ბ. ინსპექტორი დარწმუნებული იყო, რომ უსათუთო რევიზია უნდა მოგხდინა გულაუთის შკოლაში, მაგრამ, სამწუხაროთ,

არც ერთა შევირდი არ დახვედრია, რადგან ენკენისთვის რიცხვით ძეგლი მასწავლებლის მაკრიფი-ღირეკციას არაეინ არ გამოუგზავნია და ასე ამწი-რათ ყურის უგდებლობით გამოესალმა უფროათ ჩვენი შკოლა ამ ქვეყანას. მეორე დღესვე (14 ნოემბერს) ბრაკერი მაიწეია გულაუთის საზოგადოება, აგრეთვე დაიბარა ყოველ სამამასხლისოდან ათ-ათი კაცი და ვარკვეით აუხსნა ხალხს, თუ რა მნიშვნელობა აქვს შკოლას და აგრეთვე რა საჩრებლობა აქვს ხალხისთვის. ამას ბ. დიმიტრიევა დასძინა: „რადგანაც დირეკცია იმდენი მდიდარი და შეძლებული არ არის, რომ თავის ხარჯით გახსნას ყოველსავე საზოგადოებაში შკოლა, ამიტომ ის (დირეკცია) თქვენი შემწეობით აპირებს ერთს შუაგულ და მოხერხებულ ადგილზე სასწავლებლის დაარსებას“. — ბ. ბრაკერის და დიმიტრიევის სიტყვა აქაურ პატივეცემულ საზოგადოებამ დიდი საიმოყენებით და აღტაცებით მოისმინა და თანაც დასძინა, რომ ჩვენ საქმელ პურს მოვიკლებთ და შკოლას შევეწყვეით, თუ კი რამე დროს გვემელება გულაუთში სკოლის დაარსებაო. ურიგო არ იქნება, გაისენებდეს ბ. ინსპექტორი იმ გარემოებას, რომ უმეტესი შევირდთა რიცხვი ქართველობა არის და ამისათვის უსათუთო საჭიროა ქართული მასწავლებელი, თუ კი უნდა აქაური შკოლის მომავალში წარმოება. რაც შეგებმა მეორე სამავალითო სასწავლებლის დაარსებას, ამაზედაც როგორც აფხაზეთმა, ისე აქაურმა ქართველობამ დიდი იმედი მიცა ბ. დიმიტრიევის შემწეობის მხრით, მხოლოთ ლაბარაკია იმის შესახებ, სად უნდა აიჩინოს ის შუაგული და მოხერხებული ადგილი: ზოგი ასახელებს ამ ადგილთ სოფელ ლიხინს, რომელიც ორი ვერსით დაშორებულია გულაუთზე და ზოგი კი დაბა გულაუთას. მართალია, ლიხინი ერთი უმდიდრესი და მცხოვრებთა უმრავლესი სოფელია, მაგრამ მდებარებით კი ვერაფერი შუაგული და მოხერხებული ადგილია; გულაუთაში გამოიღოს ის დიდი გზა-ტყევილი, რუსეთიდან მომავალი, რომლის გაკეთებზე ხაზინას დაუხარჯავს ჩამოდენიმე მილიონი ფული. თითქმის თერთმეტი საზოგადოება ეკერის ამ გზას და მხოლოთ ორი საზოგადოება არის სოფელ ლიხინთან დაახლოებული, და არც ამ ორი საზოგადოებისთვის არის ეს ლიხინი დიდი სასარგებლო; ყოველივე საჭიროებისათვის აქაური მკედრნი უსათუთო უნდა გულაუთაში წამოვიდნენ. გარდა ამისა ზამთარში და ავღრიან დღეებში ყოველად შეუძლებელია მოწაფეებისათვის ლიხინის შკოლაში საარული, აქედან ნათლათ ჩანს, სად უფრო ჰჯობს შევირდებისთვის: ლიხინი, სადაც ყოველსავე საჭიროებას მოკლებულია

და ცალ-ფეხა კაცის მეტი ვერ შეძლებს სიარულს, თუ გუდაუთა, სადაც თუნდა ასი ევრისი მანძილზე, მოსწავლე გამომავლობის თუ არა ფეხს თავის ალყაფის კარებიდან, ისე მოვა შკოლაში, ფეხსაც არ დაისვენებებს. გარდა ამისა გუდაუთლები ეწევა ამ შკოლას სხვა ვადასახად გარდა, იმდენ მიწს, რამდენსაც საჭიროება მოითხოვს. იმეღა, ბ. დიმიტრიევი დაფიქრებით და ყურადღებით განიხილავს საზოგადოების მოხსენებას და ახლა მაინც აღასრულებს იმათ გულის წადილს. აქაური ქართველობა თანდათან ფხიზლდება, აპობს აღვლევებულს, კაცის დაუნდობელ ზღვის ტალღებს და ხელს უწყედის ბუნებით მისგან განშორებულ ქალაქის მცხოვრებლებს,

როგორც, მაგალითათ, სუბუმელებს, თითქო თხოვედეს იმათ, შეხედეთ თქვენს ღმერთს, ნუ დაგვახრჩობთ ამ უფსკრულ და ვაუმადლარ ზღვაშია, ნუ დაგვახრჩობთ შიგ ჩვენს კულა-გონებას და იყოს ჩვენდა შემავრთებელ ხიდათ ხმელები; ამათი თხოვნა ისინა უფალმა და სუბუმელებიც, როგორც კაცობრიობის დამცველი, არა ერთხელ მოწამე აღვლევებულ ზღვაში უღერაოთ მოგზაურთა მსხვერპლისა, მართლაც შეუერთდენ გუდაუთას ხმელებით, სადაც ახლა განუწყვეტლივ ყოველ დღე დანიშნულ სათაზე დაღაან ეტლები ბ.ბ. ჩხაიძის და რუხაძის თაოსნობით...

თ. გ-ე

საქველმოქმედი საქმეები

ვასილ მასხულიამ შემოწირა დღეათ: საშკოლო კამიტეტს 3 მან., რომელიც დანიშნულ ლეგისამებრ გადაეცა.

მოსკოვის ქართველ სტუდენტების შემოწირულობიდან ეგზანებათ ამ წლის განმელობაში „ჯეჯილი“ კანთში ორ შკოლას, სახელდობ: აწყური-სას და კახისას.

დავით სარაჯიშვილმა თავის ხარჯზე დაიბარა „ჯეჯილი“ ტფილისის საკეიროა შკოლისათვის.

* *

უკულითადეს მადლობას ვუცხადებთ ქვემო აღნიშნულ პირებს, რომელთაც წყალტუბოს სახალხო ბიბლიოთეკას და სამკითხველოს შემოწირეს: დ. ი. ჩიმაკაძემ—წიგნები (18 მ. 85 კ.), ნ. ა. აფხაიძემ 1 მ., მელ. ა. იოსელიანმა წიგნები 1 მან., მ. მ. 50 კ, ვაზეთ ევერისი რედაქციამ თავისი ვაზეთი დაუთმო 2 მ.

წყალტუბის შკოლის მასწავლებელი დ. ჩიმაკაძე

სემინარიის საქმე ქუთაისში



ვალის პატივცემულ მკითხველებს ეაცობებთ ამას წინათ, რომ გურია-სამეგრელოს და იმერეთის სამღვდლოებათაგან წარმოგზავნილ დეპუტატთა კრების დროს, ცოტა უთანხმოება მოხდა სხვა-დასხვა საქმის გარჩევის დროს და განსაკუთრებით სემინარიის სახლის დასადგმელი ადგილის არჩევაზე; აგრეთვე ისიც მოვიხსენიეთ, კრების დადგენილებებზე გურიის და მცხრელოს სამღვდლოებათაგან, ოათი—თუ ხუთი კაცის მეტს ხელი არ მოუწერია და ეს ახლანდელი დადგენილებანი შესაძლებელია უკანონოთ ჩაითვალოს. მართლაც ასე მოხდა: წარსულ ევენისთეში მომხთარი სამღვდლოთა კრების დადგენილებანი სემინარიის შესახებ ყოველ სამღვდლო გამბრეღმა უკანონოთ იცნა და გაუქმა, რაზედაც აცნობა ყოვე-

ლად-სამღვდლო გრიგოლს. შემდეგ 23—26 ნოემბერს მოხდა მარტო იმერეთის სამღვდლოების დეპუტატთა კრება; სამღვდლოებამ განიხილა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის საქმეები და სხვათა შორის სემინარიის შესახებ დაადგინეს: თითოეული შტატის კრებულთაგან ერთი კამიოთა შესწავნელათ შეიკრიბოს თითო თუმანი, ხოლო ყო—დ სამღვდლო გამბრეღმა ინებოს ყოველ გეარი ზომის მიღება, რომ სემინარიის სახლი უსათუოთ აშენდეს ან ნაკიხვარში და ან ლოლობერიძის ადგილში, ამ ორში რომელზედაც უფრო იაფათ დაჯდება და საუმჯობესო იქნება. ეს დადგენილება ყო—დ-სამღვდლო გამბრეღმა დაამტკიცა და თავის მხრით დასძინა, რომ ქ. ქუთაისში ამაზე უკეთესი ადგილი სემინარიისათვის არ მოიძებნება, ესევე ადგილება მოიწონა უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგმა, ბ. საბურჩაძემ, და მა-

ლო-ყოველად უსამღვდელოესმა ექსარხოსმა ელადი-მირმა, ამ ნაირათ სასულიერო მთავრობა და მთელი იმერეთის სამღვდელოება ხსენებულ ადგილებს ირჩევს და სხვას, ვილას რა საქმე აქვს, გვაკვირვებს! თუმცა ეს საქმე ასეა, მაკრამ მაინც კიდევ გამოუსლან ვილაც, არა მკითხვე მოამბებია და დაჩხირკვდელოაბენ! რა არის, —საქმე ავრიგ-დავრიგითა. ამ გვარ საზოგადო საქმესთან, აბა, რა საქმე აქვს კერძო პირებს? საუმჯობესოა ყველამ თავთავისთვის უკუღვდეს და უქანასენელი ზრუნვაც იმათ აცლონ, ვინც ღღემდი ზრუნვდა ამ საქმისთვის. ნუ თუ ყოველად-სამღვდელო გაბრიელს სამღვდელოებათა და ჩვენი ერის საკეთილდღეობა არ უნდოდა და ყოველგვარ საშუალებას და ღონეს არ ხმარობდა სემინარიის გახსნისათვის არა მარტო შარშან და წელს, არამედ მთელს მის მღვდელმთავრობაში? ნუ თუ მას იმის შეგნება და შედარება არ ჰქონდა, რომლის ადგილს იქნებოდა საუმჯობესოთ სემინარიის აშენება? ნუ თუ მარტო ამ ბოლოს მოისახლა არქიერის გორაზე სემინარიის აშენებაც არა. ბატონებო! ყოველად სამღვდელო გაბრიელს, რომ სულ იმ თავითვე საუმჯობესოთ მიანდა მოხსენებულს ადგილზე სემინარიის აშენება, ამაზე შემდეგი ვარემოება დაგვარწმუნებს: იგი თხოვდა კავკასიის „ნამესტნიკს“ 1875 წელში, რომ ღლოღობრიძებისათვის მიეცა მათი ადგილის (ბაგრატის ტაძრის გვერდზე) სამაგიეროთ ახზარში მდებარე სახელმწიფო ადგილი, რომელზედაც ღლოღობრიძებს ედგათ სახლი და ამისთვის ქირას აძლევდნ ხაზინას. „ნამესტნიკის“ განკარგულებით ეს მიწა (ღლოღობრიძების ადგილი) აიზომა ინჟინერისაგან და ის

ის-იყო, რომ უნდა გათავებულყო, მაგრამ შეჩერდა, რადგან თვით სემინარიის განსა არ იყო გადაწყვეტილი. დღეს კი ღლოღობრიძებიც მუქტათ შეწირენ ამ ადგილს სემინარიას. ყოველად-სამღვდელო გაბრიელს ეს კითხვა უკვე გათავებულათ ჩაუთვლია, მხოლოთ ახლა ნებავს, სად უფრო იაფი და მოხერხებული იქნება სემინარიის შენობა: ნაციხვარში, თუ ღლოღობრიძების ადგილში. ამის განსარჩევათ, როგორც ვიცით, მოწვეული ყავს არხიტექტორები და დოქტორები... ცხადია, რომ ნაციხვარის დანგრევას და გასწორებას დიდი შრომა და ხარჯი დაჭირდება, ადგილიც ცოტა გამოვა, სემინარია კი ღლოღობრიძის ადგილში უფრო ადვილათაქ დაეწყვა; იაფათაც დაჯდება და თუ საჭიროება მოითხოვს ადგილის მომატებას, აქ ამ ადგილის გვერდზე შეენიერი ადგილი იშოვება რიგიან ფასათ, რამდენიც საჭირო იქნება. ამ ვარემოებით იმედი უნდა ეიკონიოთ, რომ მათა მეუფება ამ ქართველთა ძველს ნაშთს ციხეს ხელ-უხლებლათ დაარჩენს.. სხვათა შორის ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ არქიერის გორის ნაკულუღვენებათ უგზოაბას ამობენ; მაგრამ ეს მიგზნიც მოსპობილათ უნდა ჩაითვალოს, რადგან ახლა შეენიერი მოკუნჯილი გზა გააყვანეს „ბაზრიდან“ გორაზე, ასე რომ „ბაზარში“ ეტლზე დადებულ ნიხსს, მხოლოთ ერთი საურო უნდა დაამართათ და გორაზე აბძანდებთ ეტლით. ამას გარდა, გორაზე მცხოვრებლებმა თუ შეენიერი წყარო მილით მოაყვანეს, როგორც იმათ აღთქვეს, მაშინ არქიერის მთა სემინარიისთვის კი არა, უნივერსიტეტისთვისაც საკმარისათ და საუკეთესო ადგილათ ჩაითვლება.

ქ. დ. ყუიბინის საიუმბილეო წარმოდგენის გამო



ვენატრი, უზომოთ შეენატრი იმ ერს, რომელი ერთც ასე თუ ისე, თვითვე ერობს ქვეყნიერობაზე, იგი არ შეადგენს უცხო ერის სახილვე ტერიტორიას, არ წარმოადგენს ქვეყნიერობისთვის რალაც ღამურისებრივე მოღვმას, თითოთ სახენენებელ მოვლენას. ბედნიერია ის ერი, რომლის ყოველ ჩამომავალს თავმოწონებით ათქმევინებთ და არა ძალ-დატანებით: მე —ღვიძლი შეილი ვარ ჩემი ერისა და მაშასადამე, როგორც ყოველი ქირი და უბედურება, ასევე ლხინი და ბედნიერებაც ჩვენ სა-

ერთო გვაქვს და განუყოფელი. ბედნიერია, ვიმეორებ, და უზომოთაც შესანატრებელი ის ერი, რომლის ყოველი ქვეყნარტი შეილი, ვულის სიღრმიდან აღმოჩაქუ გრძნობით გამსჭეალული, ერთათ დასმახებს პოეტთან:

„არ გავცელი სალსა კლდეებსა უკვადებისა ხეზედა, არ გავცელი მე ჩემ სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..“

ისტორიის ქართველობა სხვა-და-სხვა ბედი არ გუნა მთელი ხმელეთის სხვა-და-სხვა ერს. მძლავრსა და ზედისაგან გალაღებულ ერში ქვეყნისათვის სამსახურზე თავდადება არც იშვიათია და არც ისე შესამჩნევი, როგორც მოღუწეობა იმ ბედისაგან და-

ჩაგრული პატარა ერისთვის, რომელსაც, სხვის ხელში მყოფს, ძალა არ შესწევს ღირსეულად დაუფასოს, დააჯილდოვოს თავისი მოღვაწეები. ამისთანა დერდომილი—უნუგეშო ერისათვის მოღვაწეობა გამოწვეულია ხალხმე ყოველთვის არა განცხრომიითი ღიდების მოსაპოვებლათ. უეჭველია, დევიზი ამ უანგარო მოღვაწეებისა, რომლებითაც ამაყობს ყოველი ღირსეული შვილი დერდომილი ერისა, არის:

საქმე ის არის, მე ის მიყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია.

ნებოდეთ ქვეყნიერობაზე ქართველებათ? ამ შემთხვევაში ქართული თეატრი ერთად ერთი იმ წმინდა ტაძართაგანია ჩვენი ეროვნების დაცვისა, საცა ვერას გზით ვერ შეიპარება გადაგვიარების მოსურნე ძალა. ამიტომ ქართველობას, თუ ჰკუა ვაქვს, ამ თეატრს უნდა მოეუაროთ, ეცადოთ ყოველი ჩვენი ღონითა, რიგან ნიადაგზე დავამყაროთ, თორემ ჰვინესი არ იყვს:

თუ რომ ვაქვს შენა სარჩო-საკვები,
კიდევ სხვასაც მრავალს მოგცემენ,



ქ ვ ა ლ ი

ყოველი ჩვენი მოღვაწეთაგანი, რომელიც საქველმოქმედო საქმეს იტვირთებს, ცოტათ თუ ბევრათ, ამართლებს ზემოხსენებული ლექსების აზრს. განა ჩვენ არ გვეჭირება ყოველივე ისეთი იარაღი, რომელმაც შეგვარჩინოს ჩვენი სამშობლო ენა, ეროვნების დამყარება, სარწმუნოება. ზე, ჩვეულუბა და ყოველივე ის, რაც კი არ მოგვიშლის ვისცე-

და თუ ვაქვს ცოტა, მაშინ იმასაც შეუბრალებლათ შენ წაგართმევენ...

